SMART business

smart

Microsoft Dynamics 365 Business Central

SMART LOCALIZATION

Release Note

v. 2025.07

Published

კონფიდენციალურობის შეტყობინება: ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია და შეიცავს კომერციულ საიდუმლო ინფორმაციას, ამავდროულად წარმოადგენს SMART business-ის ინტელექტუალურ საკუთრებას. არც ეს დოკუმენტი და არც აქ მოცემული ინფორმაცია არ შეიძლება იყოს რეპროდუცირებული ან გამჟღავნებული SMART business-ის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ამ დოკუმენტისა და აქ მოცემული ინფორმაციის გამჟღავნება, კოპირება, გავრცელება ან გამოყენება სასტიკად აკრძალულია.

Contents

1. შესავალი 3
2. SMART Core & Accounting for GE-ის განახლებები 4
3. SMART Payroll-ის განახლებები 11
4. SMART IFRS16 Leasing -ის განახლებები 16
5. SMART Cash Flow -ის განახლებები 17
6. SMART WHT for Georgia-ის განახლებები 20
7. სისტემის განახლების პროცედურა 21
8. SMART Localization-ის განახლების წესები და პირობები 22

1. შესავალი

დოკუმენტში მოცემულია SMART Localization-ის გადაწყვეტილების ფუნქციონალის გაუმჯობესებები და ცვლილებები, რომლებიც მოცემულია 2025.07 რეგულარულ განახლებაში. განახლება მოიცავს ფუნქციონირების ცვლილებებს 04/01/25-დან 06/30/25-მდე.

პასუხისმგებლობის შეზღუდვა

ამ დოკუმენტის შინაარსი მხოლოდ საინფორმაციოა და წარმოადგენს აღნიშნულ თემაზე SMART business LLC-ის ამჟამინდელ ხედვას გამოქვეყნების თარიღისთვის. ეს დოკუმენტი და მისი შინაარსი არ წარმოადგენს, და არც უნდა იქნას განმარტებული, როგორც SMART business LLC-ის მხრიდან არსებული ვალდებულება. SMART business LLC არ იძლევა გარანტიას მოცემულ დოკუმენტში მოყვანილი ნებისმიერი ინფორმაციის სიზუსტეზე.

შეტყობინება საავტორო უფლების შესახებ

საავტორო უფლებებთან დაკავშირებულ მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დაცვა მომხმარებლის პასუხისმგებლობაა. ამ დოკუმენტის შინაარსი SMART business LLC-ის ინტელექტუალურ საკუთრებას წარმოადგენს. შპს SMART business-ის, როგორც საავტორო უფლებების მფლობელის, უფლებების შეზღუდვის გარეშე, დაუშვებელია ამ დოკუმენტის ნებისმიერი ნაწილის რეპროდუცირება, შენახვა ან მოძიების სისტემაში შესვლა, ან რაიმე ფორმით ან ნებისმიერი მიზნით გადაცემა (ელექტრონული, მექანიკური, ფოტოკოპირება, ჩაწერა, ან სხვაგვარად), ან რაიმე მიზნით მისი გამოყენება ნებისმიერ სხვა ნაშრომში ან პუბლიკაციაში, შპს SMART business-ის ოფიციალური წერილობითი ნებართვის გარეშე. ამ დოკუმენტის კოპირება მხოლოდ პირადი გამოყენებისთვის შეგიძლიათ.

SMART business LLC შეიძლება ჰქონდეს პატენტები, პატენტის განაცხადები, სავაჭრო ნიშნები, საავტორო უფლებები ან სხვა ინტელექტუალური საკუთრების უფლებები, რომლებიც მოიცავს ამ დოკუმენტის საგანს. გარდა იმ შემთხვევებისა, რაც პირდაპირ არის გათვალისწინებული SMART business LLC-ის რომელიმე ცალკეულ წერილობით სალიცენზიო ხელშეკრულებაში, ამ დოკუმენტის მიწოდება არ გაძლევთ რაიმე ლიცენზიას ამ პატენტებზე, სავაჭრო ნიშნებზე, საავტორო უფლებებზე ან სხვა ინტელექტუალურ საკუთრებაზე

© 2022 SMART business. ყველა უფლება დაცულია. აქ ნახსენები კომპანიის და პროდუქტის რეალური სახელები შეიძლება იყოს მათი შესაბამისი მფლობელების სავაჭრო ნიშნები.

2. SMART Core & Accounting for GE-ის განახლებები

განახლება მოიცავს შემდეგ გაუმჯობესებებს, ახალ ფუნქციურ შესაძლებლობებს და გასწორებულ შეცდომებს:

ქვეყნის კოდი	ID	კონტენტი	ფუნქციონალური სივრცე	ცვლილების ტიპი
CORE	#71193	დახურვის ანგარიშში, საქონლის გადაფასების ჟურნალის „წარმოების ხარჯების განაწილების“ მოთხოვნის ფორმაზე დაემატა ფილტრების დაყენების შესაძლებლობა ტრანზაქციის ანალიტიკური მნიშვნელობების მიხედვით.	პროდუქციის მართვა	ახალი ფუნქცია
CORE	#73840	„კორესპონდენციის შემოწმების“ გვერდზე დაემატა ველი „ტრანზაქციის ნომერი“ და ღილაკი "კორესპონდენციის შექმნა“.	საოპერაციო ანგარიშგებები	ახალი ფუნქცია
CORE	#73865	გაუმჯობესებული კორესპონდენციის ჩანაწერების გენერირება გაყიდვების დოკუმენტისთვის, როდესაც ჩართულია ავტომატური კორესპონდენციის დაპოსტვის პარამეტრი.	საოპერაციო ანგარიშგებები	ახალი ფუნქცია
CORE	#74558	საავანსო დოკუმენტის გვერდზე განხორციელდა რამდენიმე გაუმჯობესება: თანამშრომლის სრული სახელის არჩევისას, სისტემა ახლა ავტომატურად ფილტრავს მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც განსაზღვრული არიან როგორც პასუხისმგებელი პირი (ტიპი = პასუხისმგებელი პირი); პასუხისმგებელი პირის შეცვლისას, სისტემა ავტომატურად აახლებს როგორც შესყიდვის მომწოდებელს, ისე გადახდის მიმწოდებელს, დამატებითი ქმედებების გარეშე, თავიდან რომ იქნას აცილებული მონაცემთა შეუსაბამობა.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია
CORE	#74684	ანგარიშგების გვერდზე „პროდუქციის ღირებულება წმინდა თანხით“ დაემატა ახალი ფუნქცია, რომელიც განსაზღვრავს, გამოჩნდება თუ არა ანგარიშგების თანხები დამატებით ანგარიშგების ვალუტაში. სტრიქონები, რომლებშიც მხოლოდ რეპორტინგის ვალუტაში არსებული მნიშვნელობებია ნაჩვენები, მხოლოდ	საოპერაციო ანგარიშგებები	ახალი ფუნქცია

		მაშინ გამოჩნდება, როდესაც ეს ფუნქცია ჩართულია.		
CORE	#76072	თვითღირებულებაზე დაბალ ფასად გაყიდვების კონტროლის ფუნქცია, გაყიდვების მოდულის პარამეტრებში, Smart Core-დან გადავიდა SMART Core Localization for Ukraine-ში.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია
CORE	#77011	შეიცვალა ფასის გაანგარიშების ლოგიკა "ფასების ცვლილების ბრძანებაში "— ფასები ახლა ყოველთვის ითვლება დღგ-ს გარეშე, მიუხედავად იმისა, მოიცავს თუ არა დღგ-ს საწყისი ფასები, რომლებზე დაფუძნებულია ღირებულების კორექტირება.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია
CORE	#77363	შეიცვალა მარაგის წმინდა რაოდენობის რეპორტის შექმნის ლოგიკა. იმ შემთხვევაში, თუ მარაგის ღირებულების ჩანაწერები არ არის დაკავშირებული მარაგის ლეჯერის ჩანაწერთან, რეპორტი ასეთ ჩანაწერებს უგულებელყოფს.	საოპერაციო ანგარიშგებები	ახალი ფუნქცია
CORE	#77593	დაემატა მარეგულირებელი ანგარიშგების მონაცემების ხელახლა გამოთვლის შესაძლებლობა „მონაცემების ხელახლა გამოთვლის" ფუნქციის გამოყენებით იმ სტრიქონებისთვის, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელობებს შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, თუმცა მათი დამატება შესაძლებელია „მარეგულირებელი ანგარიშგების მონაცემების ქვეფორმის" გვერდიდან.	კანონმდებლობით გათვალისწინებული ანგარიშგებები	ახალი ფუნქცია
CORE	#79004	მარაგის გადაფასების ჟურნალში „ჟურნალის სტრიქონების შევსების" ფუნქციას დაემატა „წარმოების შედეგის" ტიპის ოპერაციების არჩევის შესაძლებლობა და კონფიგურირებულია ფილტრით შერჩევა ამ ფუნქციისთვის ხელმისაწვდომი ოპერაციების ტიპების მიხედვით. გაუმჯობესდა „ჟურნალის სტრიქონების შევსების" ფუნქციის მეშვეობით სტრიქონების შექმნის მექანიზმი, როდესაც სისტემა არ ბლოკავს ყველა სტრიქონის შექმნას იმის გამო, რომ პერიოდში არის ოპერაციები მაგ. სრულად დაინვოისებული =არა და/ან დადებითი=არა, მაგრამ ატყობინებს მომხმარებელს, რომელი ოპერაციებისთვის არ შეიქმნება	პროდუქციის მართვა	ახალი ფუნქცია

		სტრიქონები და იძლევა დარჩენილი სტრიქონების შექმნის გაგრძელების ან დასრულების არჩევის შესაძლებლობას.		
CORE	#79115	საავანსო დოკუმენტის „მიმწოდებლის ოპერაციების ეფლიქეიშენის“ გვერდზე დაემატა შაბლონური ფილტრი „დოკუმენტის ტიპის“ ველში. ეს ფილტრი ავტომატურად იშლება „დოკუმენტის ეფლიქეიშენის“ ველიდან იმ მნიშვნელობის საფუძველზე, რომელიც მითითებულია ველში „დოკუმენტის ეფლიქეიშენის ტიპი“.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია
CORE	#79567	მარაგის ტრანზაქციაზე ჩამოწერის ტრანზაქციის ეფლიქეიშენის დროს, შეიცვალა „სტრიქონების გაყოფა ეფლიქეიშენის მიხედვით“ ფუნქციის გამოყენების ლოგიკა, ახლა ჩამოწერის ტრანზაქციების ეფლიქეიშენი ხდება პირველივე ღია მარაგის ტრანზაქციის ჩანაწერთან.	პროდუქციის მართვა	ახალი ფუნქცია
CORE	#79739	განახლდა ძირითადი საშუალებების აღრიცხვის ფუნქციონალი „წინასწარ გადახდილი ხარჯების“ ტიპისთვის. გამოსწორდა შეცდომა, რის გამოც ამორტიზაციის წიგნი არ ივსებოდა ავტომატურად — ახლა, აქტივის ტიპად „წინასწარ გადახდილი ხარჯების“ არჩევის შემდეგ, სისტემა ავტომატურად აჩვენებს მომავალი პერიოდების შესაბამის ამორტიზაციის წიგნს, კონფიგურაციის პარამეტრების შესაბამისად. ასეთი აქტივის აღრიცხვაზე აყვანისას, მისი სტატუსი ავტომატურად გადადის „საოპერაციო“-ზე, ხოლო ამორტიზაციის დაწყების თარიღი განისაზღვრება ფორმულით, რომლის დაპოსტვის თარიღიც არის აქტივის აღრიცხვაზე აყვანის თარიღი. გარდა ამისა, დანერგილია ამორტიზაციის ყოველდღიური გაანგარიშების მექანიზმი.	ძირითადი საშუალებები	შეცდომის გამოსწორება
CORE	#79751	შეიცვალა შეცდომის შეტყობინების ტექსტი, როდესაც ძირითადი საშუალების მოძრაობის აქტის დაპოსტვა ხდება ტიპით - რეკლასიფიკაცია გასაყიდად და ძს-ს საბალანსო ღირებულება ნულის ტოლია.	ძირითადი საშუალებები	ახალი ფუნქცია

CORE	#79761	გაუმჯობესდა ბანკის გადახდების ჟურნალიდან კლიენტების გადახდების შექმნის ფუნქციონალი, როდესაც გადახდის ფორმირება ხდება „ღია დოკუმენტების“ ქვეფორმის გამოყენებით: გადასახდელი თანხის შეცვლის შემთხვევაში, ეფექტიშენის თანხა ახლა ავტომატურად განახლდება.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია
CORE	#79799	გადახდის დავალებაში განახლდა დღგ-ს განაკვეთის შევსების ლოგიკა: ახლა დავალებაში მითითებულია დღგ-ს პროცენტი იმ შემთხვევაში, თუ განაკვეთი ყველა სტრიქონისთვის ერთნაირია. ასევე, დამატებულია დღგ-ს მნიშვნელობის მთელ რიცხვამდე დამრგვალება.	ნაღდი და უნაღდო ფულადი სახსრების მართვა	ახალი ფუნქცია
CORE	#79896	ბუღალტრული ანგარიშის ბრუნვის გვერდს დაემატა ღილაკი „დამატებითი ფილტრების დაყენება“, რომელიც საშუალებას გაძლევთ დააყენოთ დამატებითი ფილტრები ბუღალტრული ანგარიშის ბარათზე ხელმისაწვდომი ველების მიხედვით.	საოპერაციო ანგარიშგებები	ახალი ფუნქცია
CORE	#80157	გაუმჯობესდა მომსახურების კოდის გადაცემის ლოგიკა „მომსახურების“ ტიპის საქონლისთვის, რომელიც ფიქსირდება დაპოსტილი ინვოისების საფუძველზე შექმნილ დაკავშირებულ შესყიდვისა და გაყიდვის დოკუმენტებში.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია
CORE	#80176	გამოსწორდა პრობლემა, რომელიც მარაგის წმინდა რაოდენობის ანგარიშგების გენერირებას შეეხებოდა იმ შემთხვევებში, როდესაც მარაგის ვარიანტების ჯამური ბალანსი ნულოვანი იყო. ახლა, მარაგის სტრიქონი ნულოვანი მნიშვნელობით ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოჩნდება, თუ მისი ვარიანტის ბალანსი არ არის ნულოვანი.	საოპერაციო ანგარიშგებები	შეცდომის გამოსწორება
CORE	#80242	„XML ელემენტის სტრიქონების“ გვერდზე გაიზარდა „მნიშვნელობის“ ველის სიმბოლოების მაქსიმალურ რაოდენობამდე.	კანონმდებლობით გათვალისწინებული ანგარიშგებები	ახალი ფუნქცია
CORE	#80376	გასწორდა შეცდომა, რომელიც დაკავშირებული იყო „ვალუტის კურსების იმპორტის“ დავალების დაწყებასთან, როდესაც ველები	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	შეცდომის გამოსწორება

		„თარიღი -დან“ და „თარიღი -მდე“ არ იყო შევსებული.		
CORE	#80444	დამატებულია ოპტიმიზებული ტექსტით ძიების შესაძლებლობა სტატიკური ცხრილების ველებზე, რაც იძლევა ჩანაწერის მოძიების საშუალებას, სიმბოლოების რეგისტრის, სიტყვების თანმიმდევრობისა და საძიებო მოთხოვნასა და ჩანაწერს შორის სხვა მინიმალური განსხვავებების მიუხედავად.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია
CORE	#80628	დაემატა შაბლონური ხელმოწერების ცალ-ცალკე კონფიგურაციის შესაძლებლობა შესყიდვის მიღებისა და რეალიზაციის ჩამოწერის დოკუმენტებისთვის, რომლებიც გენერირდება შესაბამისი შეკვეთების საფუძველზე.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია
CORE	#80718	ხელშეკრულების ველი იყო დამატებული requisition worksheet გვერდზე, რომელიც ასევე გადაივსება შესყიდვის დოკუმენტის შექმნისას.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია
CORE	#80967	გასწორდა პრობლემა საბანკო ამონაწერის იმპორტის დროს კონტრაგენტის ტიპის განსაზღვრასთან დაკავშირებით: სისტემა ახლა სწორად ავსებს ანგარიშის ტიპს იმ შემთხვევებში, როდესაც სისტემაში რეგისტრირებულია როგორც კლიენტი, ასევე მომწოდებელი ერთი და იგივე საიდენტიფიკაციო ნომრით.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	შეცდომის გამოსწორება
CORE	#81125	გამოსწორდა პრობლემა, რომელიც წარმოიშვებოდა პროექტის დაგეგმვის სტრიქონებიდან გაყიდვების ინვოისის შექმნისას იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებლისთვის განსაზღვრული იყო შაბლონური ხელშეკრულება.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	შეცდომის გამოსწორება
CORE	#81139	„ძირითადი საშუალებების ცვეთის ანგარიშგებაში" გამოსწორდა შეცდომა, რომელიც დაკავშირებული იყო თანხების დამატებითი ანგარიშგების ვალუტაში ჩვენებასთან.	ძირითადი საშუალებები	შეცდომის გამოსწორება
CORE	#81290	„ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის აქტის“ დოკუმენტის სტრიქონებს დაემატა ფუნქციონალი, რათა ავტომატურად შეივსოს ძირითადი საშუალებების "ფაქტობრივი რაოდენობის" ველი „რაოდენობის“ ველის მიხედვით.	ძირითადი საშუალებები	ახალი ფუნქცია
CORE	#81327	პროდუქტის წმინდა ღირებულების რეპორტში განახლდა ველი -	საოპერაციო ანგარიშგებები	ახალი ფუნქცია

		"საკრედიტო ღირებულება", იმისათვის რომ მნიშვნელობა ნაჩვენები იყოს ორ ციფრზე დამრგვალების სიზუსტით.		
CORE	#81525	გამოსწორდა ხარვეზი, რომლის შედეგადაც ძირითადი საშუალების ინვენტარიზაციის აქტის დოკუმენტში კონფიგურირებული ხელმოწერები დაპოსტვის პროცესში არ გადაეცემოდა დაპოსტილ დოკუმენტს.	ძირითადი საშუალებები	შეცდომის გამოსწორება
CORE	#82032	გაუმჯობესდა პროდუქტის წმინდა რაოდენობის ანგარიშგება და შესაბამისი ფუნქციონალი — შერჩევის პროცესის გამარტივების მიზნით, ფილტრის ველებს დაემატა ჩამოსაშლელი სიები.	საოპერაციო ანგარიშგებები	ახალი ფუნქცია
CORE	#82054	"რეგენერაციული გეგმის გამოთვლის" ფუნქციის გამოყენებით ოპტიმიზებულია დაგეგმვის სამუშაო გვერდის სტრიქონების შექმნის პროცესი და ამჟამად ვრცელდება მხოლოდ შევსების მეთოდ 'შეძენაზე'. იმ შემთხვევაში, თუ მითითებულია მომწოდებლის ნომერი, სისტემა ავტომატურად ავსებს დეფოლტ ხელშეკრულების ნომერს.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია
CORE	#82473	პროექტის ბარათში დაემატა შესაძლებლობა, მომხმარებელზე მოხდეს ხელშეკრულების მითითება, რომლის საფუძველზეც შეიქმნება გაყიდვების ინვოისი.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია
CORE	#83386	გამოსწორდა პრობლემა, რომელიც საშუალებას იძლეოდა, გამყიდველისა და მომხმარებლის ხელშეკრულებაში დამატებულიყო ანალიტიკა ცარიელი ხელშეკრულების ნომრით. ამჟამად ანალიტიკის დამატება ხელშეკრულებაში, რომლის ნომერიც მითითებული არ არის, აღარ არის შესაძლებელი.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	შეცდომის გამოსწორება
CORE	#83621	მარაგების ჩამოწერის აქტში შეცვლილია სტრიქონების განაწილების მექანიზმი: დოკუმენტის თარიღის ნაცვლად, ახლა განაწილება ხდება მარაგების ჩანაწერებში ოპერაციების დაპოსტვის თარიღის საფუძველზე.	პროდუქციის მართვა	ახალი ფუნქცია
CORE	#83633	გაფართოვდა ბანკის ამონაწერის ბუფერის შევსების ლოგიკა — დაემატა მომხმარებლის ან მომწოდებლის საბანკო ანგარიშის ნომრის მიხედვით შესაბამისობის შემოწმება.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია

CORE	#83635	გამოსწორდა პრობლემა, რომელიც იწვევდა კონტრაგენტებისთვის ღია ტრანზაქციების არასწორად ჩვენებას "G/L Source Turnover" რეპორტში, იმ შემთხვევაში, როდესაც კონტრაგენტის ბალანსი ნულის ტოლი იყო.	საოპერაციო ანგარიშგებები	შეცდომის გამოსწორება
CORE	#83640	ანგარიშის ბრუნვის რეპორტში განახლდა შეკვეთების მიხედვით დეტალური ბალანსის ჩვენების ფუნქციონალი. ამიერიდან, შეკვეთების მიხედვით დეტალური ბალანსი აჩვენებს არჩეული პერიოდის ფაქტობრივ საწყის მნიშვნელობას ან ბალანსს პერიოდის დახურვისთვის.	საოპერაციო ანგარიშგებები	ახალი ფუნქცია
CORE	#83905	გამოსწორდა ეფლიქეიშენის შეცდომა, რომელიც წარმოიშვებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც ხდებოდა ისეთი შესყიდვის ინვოისისა და კრედიტ მემოს ეფლიქეიშენი, რომლის სტრიქონების ტიპი იყო – ბუღალტრული ანგარიში, ხოლო დღგ-ს კალკულაციის ტიპი – უკუდაბეგვრის დღგ.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	შეცდომის გამოსწორება
CORE	#85036	გამოსწორდა შეცდომა, რომლის გამოც „პირდაპირი გადაზიდვა" ოფციის ჩართვისას, გადაადგილების შეკვეთის დოკუმენტში კორესპონდენციის ოპერაციები არ იქმნებოდა.	პროდუქციის მართვა	შეცდომის გამოსწორება
GE	#78848	გასწორდა ზედნადებში დამრგვალების პრობლემა, როდესაც რეალიზაციის დოკუმენტებში "ფასი დღგ-ს ჩათვლით"=არა.	დღგ	შეცდომის გამოსწორება
GE	#80723	ლოკალიზაციაში განახლდა დღგ-ს დეკლარაცია, რათა ასახოს შემოსავლების სამსახურის პორტალზე (rs.ge) განხორციელებული ბოლოდროინდელი ცვლილებები. შეიცვალა დეკლარაციის გვერდების თანმიმდევრობა და დაემატა ახალი გვერდი.	რეპორტინგი	ახალი ფუნქცია

3. SMART Payroll-ის განახლებები

განახლება მოიცავს შემდეგ გაუმჯობესებებს, ახალ ფუნქციურ შესაძლებლობებს და გასწორებულ შეცდომებს:

ქვეყნის კოდი	ID	კონტენტი	ფუნქციონალური სივრცე	ცვლილების ტიპი
CORE	#81526	თანამშრომლის რეპორტის, "ხელფასის უწყისი" - ს გაშვების შემთხვევაში, „კალკულაციის ჯგუფის კოდი" აღარ იქნება საჭირო.	რეპორტინგი. საბეჭდი ფორმები	ახალი ფუნქცია
CORE	#81651	Word-ის ფორმატის რეპორტებში, უკვე შესაძლებელია ერთ ფაილში დაფორმიდეს რამდენიმე დოკუმენტი, სხვა და სხვა გვერდზე, თემფლეითის ცვლილების გარეშე.	რეპორტინგი. საბეჭდი ფორმები	ახალი ფუნქცია
CORE	#83757	ხელფასის ელემენტისთვის დაემატა პარამეტრი „დახურულ პერიოდში დაპოსტვის უფლება", რაც საშუალებას იძლევა ხელფასის ელემენტი თანამშრომლის ჟურნალში დაიპოსტოს მაშინაც კი, თუ შესაბამის ხელფასის პერიოდში ხელფასის სტატუსი არის „დაპოსტილი".	ხელფასის დაანგარიშება	ახალი ფუნქცია
CORE	#79141	დარიცხული შვებულების რეზერვისა და მისგან მიღებული SSC-ის ოდენობის, ასევე გამოყენებული შვებულების ოდენობის მონიტორინგისა და ანალიზის უზრუნველსაყოფად, დეტალურ ბრუნვის ანგარიშგებაში დაემატა შემდეგი შესაძლებლობა, როდესაც "წყარო"= "თანამშრომელი", ხელფასის პოსტინგ ჯგუფებში შესაძლებელი გახდა საბალანსო ანგარიშის მითითება. ადრე საბალანსო ანგარიშის მითითება შესაძლებელი იყო მხოლოდ მიმწოდებლის მიხედვით, რაც ზღუდავდა თანამშრომელთან დაკავშირებული რეზერვის ოპერაციების ნახვის შესაძლებლობას შესაბამისი ფილტრით.	ხელფასის დაანგარიშება	ახალი ფუნქცია

CORE	#83556	საავანსო კალკულაციის ჯგუფის მქონე ხელფასის დოკუმენტები არ შეიქმნება, თუ თანამშრომლის სახელფასო სტატუსი = დაპოსტილს.	ხელფასის დაანგარიშება	ახალი ფუნქცია
CORE	#80631	„ხელფასის დოკუმენტების შეთავაზების“ დავალებაში დაემატა ფილტრის არე იმ თანამშრომლების მოსაძებნად, რომლებიც „ხელფასის დოკუმენტის“ დაპოსტვის თარიღისთვის კონკრეტულ პოზიციაზე მუშაობდნენ. „ხელფასის დოკუმენტის“ ჰედერის მონაცემები, როგორიცაა „კალკულაციის ჯგუფი“, „ორგანიზაციული ერთეული“, „ანალიტიკები“, ასევე განსაზღვრულია „ხელფასის დოკუმენტი“-ს „დაპოსტვის თარიღში“.	ხელფასის დაანგარიშება	ახალი ფუნქცია
CORE	#81394	შეიქმნა ახალი გამოთვლის ფუნქციები- 550, რომელიც აბრუნებს ხელფასის მნიშვნელობას კონკრეტული დღისთვის ადგილობრივ ვალუტაში. ხოლო, ანგარიშსწორების ფუნქცია 21094082 კონფიგურირებულია ისე, რომ ხელფასის მინიმალურ ხელფასთან შედარებისას გამოიყენოს ადგილობრივ ვალუტაში გადაყვანილი ხელფასის თანხა.	ხელფასის დაანგარიშება	ახალი ფუნქცია
CORE	#82928	საბოლოო ხელფასის დოკუმენტების დაპოსტვისას, გასწორდა პერიოდებს შორის გადახდების დაკავშირება იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ერთ გადახდასთან დაკავშირებულია რამდენიმე დარიცხვის ოპერაცია.	ხელფასის დაანგარიშება	შეცდომის გამოსწორება
CORE	#83622	საგადასახადო ორგანოს ტიპის მქონე მომწოდებლებისთვის დამატებულია საგადასახადო ბალანსის შემოწმების ატრიბუტი, რომელსაც აქვს სამი მნიშვნელობა: ცარიელი, განახლებული და „პერიოდამდე“. თუ არჩეულია „პერიოდამდე“ (და პარალელურად პარამეტრი საკონტროლო ბალანსი (ეროვნულ ვალუტაში) გადახდისთვის	სახელფასო გადახდა	ახალი ფუნქცია

		დაყენებულია მნიშვნელობაზე დიახ), მაშინ გადასახადების საბოლოო გადახდისას არ გაითვალისწინება მომავალი პერიოდების გადასახადების თანხები — ანუ გადახდა განხორციელდება მხოლოდ შესაბამისი პერიოდის ფარგლებში დაგროვებული გადასახადებისთვის.		
CORE	#82831	თანამშრომლის გათავისუფლების დადასტურებისას, იმ შემთხვევაში, თუ თანამშრომელი დანიშნულია კონკრეტული დეპარტამენტის მენეჯერად, გამოჩნდება ინფორმაციული შეტყობინება. ასევე, დაემატა შესაძლებლობა, ზემდგომი დეპარტამენტის მენეჯერი ავტომატურად დაკოპირდეს მის დაქვემდებარებულ დეპარტამენტებში. დამატებულია ვალიდაცია, რომელიც თანამშრომლის ახალ პოზიციაზე გადაყვანისას ამოწმებს ზემდგომი პოზიციების შესაბამისობას.	პერსონალის სია	ახალი ფუნქცია
CORE	#82834	„ზოგადი ბრძანების“ სტრიქონებში დაემატა ველის „გაუქმებულია“ მნიშვნელობის განახლება იმ შემთხვევაში, თუ ორიგინალი დოკუმენტი გაუქმდა და ხელახლა დაიპოსტა.	პერსონალის სია	ახალი ფუნქცია
CORE	#80524	HR პარამეტრების აწყობაში, ასევე ხელფასის კალენდრის ბარათზე, ველი „ჯამური ზეგანაკვეთური ნამუშევარი საათების ჯგუფის კოდი“ შეიცვალა ველით „SMA ჯამური ზეგანაკვეთური ნამუშევარი საათების ჯგუფის კოდით".	დროის უწყისი	ახალი ფუნქცია
CORE	#82470	„შვებულების გრაფიკებისთვის“ დამატებულია ახალი ფუნქციონალი (ხელმისაწვდომია SMART Feature Flag-ის საშუალებით). ახალი შვებულების გრაფიკი მხარდაჭერილია ვერსირებით, რაც საშუალებას იძლევა შეიქმნას გრაფიკები	გაცდენების ორდერები	ახალი ფუნქცია

		დეპარტამენტების მიხედვით დეტალური ინფორმაციით. ასევე, შესაძლებელია თანამშრომლის დეპარტამენტის ცვლილების შემთხვევაში არსებული გრაფიკის ავტომატური განახლება. გრაფიკი ახლა მოიცავს ყველა ჩანაწერს თანამშრომლის გამოუყენებელი შვებულების დღეებით (კალენდარული ან სამუშაო დღეების მიხედვით), რაც დაკავშირებულია შესაბამის დარიცხვის ოპერაციებთან.		
CORE	#83976	ხელფასის კალენდრის პარამეტრებს დაემატა ველი — „გამოთვლა პერიოდის ბოლოს". თუ აღნიშნული პარამეტრი ჩართულია და თანამშრომელი ამ პერიოდში გადაყვანილია მოცემულ კალენდარზე, მაშინ მის თაიმშიტში ზეგანაკვეთური საათები დაფიქსირდება მხოლოდ პერიოდის ბოლოს და არ აისახება გადაყვანის თარიღამდე პერიოდისთვის.	გაცდენების ორდერები	ახალი ფუნქცია
CORE	#85113	გამოსწორდა პრობლემა, რომლის შედეგად მივლინების შეკვეთებიდან ვერ ხერხდებოდა საავანსო ანგარიშგების შექმნა იმ შემთხვევებში, როდესაც ავანსის ანგარიშგების სტრიქონები შეიცავდა ჩანაწერებს განსხვავებული ვალუტის კოდებითა და მნიშვნელობებით ველში „ფასები დღგ-ს ჩათვლით". ასევე, გამოსწორდა ვალუტის კოდის გადატანა ავანსის ანგარიშგებაში, შესაბამისი ავანსის სტრიქონების ტიპების კონფიგურაციდან.	გაცდენების ორდერები	შეცდომის გამოსწორება
CORE	#80350	არყოფნის ბრძანების დოკუმენტების გვერდებს (შვებულება, ბიულეტინი, გაცდენა) დაემატა ველი „მიზეზის დოკუმენტი", რომლისთვისაც ასავე შეიქმნა შესაბამისი ცვლადები და ტექსტური თემფლეითები.	გაცდენების ორდერები	ახალი ფუნქცია

CORE	#79892	ჩართულია ტექსტის გაუმჯობესებული ძიება "SQL full-text search"-ის გამოყენებით: ცხრილების უმეტეს ტექსტურ ველებზე დაყენებულია "OptimizeForTextSearch" თვისება, რაც აუმჯობესებს თანამედროვე ძებნის ფუნქციის (modern search) ეფექტურობასა და სიჩქარეს.	Technical	ახალი ფუნქცია
CORE	#80194	რეპორტების გვერდებზე დაემატა აღნიშვნები სავალდებულო ველების დასაფორმირებლად.	Technical	ახალი ფუნქცია
GE	#83384	გამოსწორდა პრობლემა საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის დანართი "ე"-ს გენერირებისას, როდესაც დეკლარაციაში აისახებოდა ფიზ. პირის ნულოვანი ჩანაწერების მნიშვნელობებიც. ახლა სისტემა ითვალისწინებს მხოლოდ იმ საშემოსავლო გადასახადის ჩანაწერებს, სადაც მომსახურების ტიპი არ უდრის 0-ს.	SMART WHT for Georgia	შეცდომის გამოსწორება

4. SMART IFRS16 Leasing -ის განახლებები

განახლება მოიცავს შემდეგ გაუმჯობესებებს, ახალ ფუნქციურ შესაძლებლობებს და გასწორებულ შეცდომებს:

ქვეყნის კოდი	ID	კონტენტი	ფუნქციონალური სივრცე	ცვლილების ტიპი
CORE	#82533	დაკორექტირდა იჯარის ხელშეკრულების ფუნქციონალი, რათა შესაძლებელი გახდეს მეიჯარის შეცვლა და დავალიანების გადატანა.	SMART IFRS16 Leasing	შეცდომის გამოსწორება
CORE	#81065	შეიცვალა ძირითადი საშუალების სტატუსის შევსების ლოგიკა ლიზინგის ხელშეკრულების გაფორმებისას, როდესაც მესაკუთრე არ იცვლება. ასეთ შემთხვევაში, სტატუსის ცვლილება ხდება ჩამოწერით.	SMART IFRS16 Leasing	ახალი ფუნქცია

5. SMART Cash Flow -ის განახლებები

განახლება მოიცავს შემდეგ გაუმჯობესებებს, ახალ ფუნქციურ შესაძლებლობებს და გასწორებულ შეცდომებს:

ქვეყნის კოდი	ID	კონტენტი	ფუნქციონალური სივრცე	ცვლილების ტიპი
CORE	#77183	დაემატა ფილტრების გამოყენების შესაძლებლობა ხელშეკრულების ნომრის მიხედვით შემდეგ ცხრილებში: ხელშეკრულების მიხედვით დაგეგმილი მისაღები/გადასახდელი თანხების ჩანაწერები და გადახდის პირობები. ასევე, ბანკის გადახდების ჟურნალში ფულადი ნაკადების პროგნოზის ჩანაწერის ნომრის არჩევისას ეხლა გამოიყენება ფილტრი ანგარიშის ნომრისა და ხელშეკრულების მიხედვით.	SMART CashFlow	ახალი ფუნქცია
CORE	#79667	გამოსწორდა სტრიქონების შექმნის შეცდომა ფულადი ნაკადის სამუშაო ფურცლის შეთავაზების ფუნქციონალში, რომელიც წარმოიშვებოდა მაშინ, როდესაც ფულადი ნაკადის შემოსავლებისა და ხარჯების ჩანაწერებში გვხვდებოდა განმეორებისა და ვალუტის კოდის სხვადასხვა მნიშვნელობები.	SMART CashFlow	შეცდომის გამოსწორება
CORE	#81035	განხორციელდა გადასახდელი დავალიანების გეგმის და მისაღები დავალიანების გეგმის ჩანაწერების ველების გასუფთავება ახალ დოკუმენტებში, შესყიდვისა და გაყიდვის დოკუმენტების კოპირების ფუნქციით შექმნისას.	SMART CashFlow	ახალი ფუნქცია
CORE	#81039	განახლდა როლების ცენტრში არსებული დიაგრამიდან ფულადი ნაკადების პროგნოზის ხელახალი გამოთვლის ლოგიკა. ახლა ტრანზაქციები იქმნება პროგნოზში კონფიგურირებული მიმდინარე ლოგიკის შესაბამისად. თუ გამორთულია ოფცია „ავტომატურად წაშალე გადაუხდელი ჩანაწერები", ხელახალი გამოთვლის დროს ემატება მხოლოდ ის ტრანზაქციები, რომლებიც ჯერ არ არის ფულადი ნაკადების ტრანზაქციების წიგნში. თუ ოფცია ჩართულია, ფულადი ნაკადების წიგნში არსებული ყველა ტრანზაქცია (გარდა გადახდილი ტრანზაქციებისა ან ფინანსურ	SMART CashFlow	ახალი ფუნქცია

		ჟურნალში ასახული ჩანაწერებისა) წაიშლება და მათ ნაცვლად შეიქმნება ახალი ტრანზაქციები. ხელახალი გამოთვლისას გათვალისწინებულია ფულადი ნაკადების ჟურნალის სტრიქონების ფორმირების უახლესი პარამეტრები.		
CORE	#84672	გამოსწორდა პრობლემა, რომელიც დაკავშირებული იყო „ინვოისის“ ტიპის დოკუმენტისთვის მისაღები/გადასახდელი თანხების გრაფიკის დარელიზებულიდან "ღია" სტატუსზე გადაყვანასთან.	SMART CashFlow	შეცდომის გამოსწორება
CORE	#77245	კონტრაქტის გადასახდელი/მისაღები თანხების გეგმის ჩანაწერების გვერდებს დაემატა დამტებითი ინფორმაციის პანელები, სადაც ნაჩვენებია დაგეგმილი თანხა და გამოყენებული ჯამური თანხა, გაფილტრული მომწოდებლის/მომხმარებლისა და მათი შეთანხმების მიხედვით.	SMART CashFlow	ახალი ფუნქცია
CORE	#80630	გასწორდა შეცდომა იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული კონტრაქტით მისაღები თანხების გეგმა სავალდებულო არ არის და მისი ჩანაწერები ავტომატურად არ ებმება გაყიდვების დაპოსტილ ინვოისს. კერძოდ, გამოსწორდა შეცდომა კონტრაქტით მისაღები თანხების გეგმის ჩანაწერებთან დაკავშირებულ გაყიდვების ინვოისის ფუნქციონალში.	SMART CashFlow	შეცდომის გამოსწორება
CORE	#81036	გვერდებზე: „დავალიანების გრაფიკი“, „დებიტორული დავალიანების გრაფიკი“, „ხელშეკრულებით გადასახდელი დავალიანების გეგმის ჩანაწერები“, ველის დასახელება „თანხა“ შეიცვალა „გადახურული თანხა“-თი.	SMART CashFlow	ახალი ფუნქცია
CORE	#81329	ზოგადი ჟურნალის შაბლონების გვერდზე დაემატა ფუნქცია – „ვალუტის კოდის შემოწმება ფულადი ნაკადების რეესტრის ჩანაწერებიდან“. თუ აღნიშნული პარამეტრი ჩართულია, სისტემა „გადახდის შექმნის“ პროცესში ამოწმებს, ემთხვევა თუ არა ფულადი ნაკადების რეესტრის ჩანაწერში მითითებული ვალუტა ჟურნალის ვალუტას. ვალუტების შეუსაბამობის შემთხვევაში, გადახდა არ იქმნება.	SMART CashFlow	ახალი ფუნქცია

CORE	#81333	ფულადი ნაკადების ჩანაწერების საფუძველზე „გადახდის შექმნის" ფუნქციის გამოყენებისას, შემომავალი გადახდის შექმნის დროს, შეიცვალა შეცდომის შეტყობინება.	SMART CashFlow	ახალი ფუნქცია
CORE	#81042	გამოსწორდა შეცდომა, რომელიც იწვევდა "ფულადი ნაკადების ჟურნალში" ტრანზაქციების დუბლირებას იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი იქმნებოდა "სტრიქონების შეთავაზება" ფუნქციით, კომენტარების შემცველი სტრიქონების მქონე დარელიზებული "გაყიდვების შეკვეთის" დოკუმენტებიდან.	SMART CashFlow	ახალი ფუნქცია
CORE	#83548	გამოსწორდა პრობლემა, რომლის შედეგად ფულადი ნაკადების სამუშაო გვერდზე არ იქმნებოდა ჩანაწერები, თუ ფულადი ნაკადების პროგნოზში უკვე არსებობდა ჩანაწერი იმავე დოკუმენტის ნომრით.	SMART CashFlow	შეცდომის გამოსწორება

6. SMART WHT for Georgia-ის განახლებები

განახლება მოიცავს შემდეგ გაუმჯობესებებს, ახალ ფუნქციურ შესაძლებლობებს და გასწორებულ შეცდომებს:

ქვეყნის კოდი	ID	კონტენტი	ფუნქციონალური სივრცე	ცვლილების ტიპი
GE	#80800	გამოსწორებულია პრობლემა, როდესაც საავანსო დოკუმენტში არსებობდა ერთზე მეტი სტრიქონი და ერთი სტრიქონისთვის საშემოსავლო გადასახადის მნიშვნელობა იყო 0, რის შედეგადაც დუბლირდებოდა საშემოსავლო გადასახადის ჩანაწერები.	SMART WHT for Georgia	შეცდომის გამოსწორება
GE	#81455	purchase advance statement დოკუმენტისთვის tax only ტიპისათვის დაემატა საშემოსავლოს ენთრისთვის უკუგატარების შექმნის შესაძლებლობა, რომელიც მუშაობს gl entry-ს დარევერსების მომენტში.	SMART WHT for Georgia	შეცდომის გამოსწორება
GE	#81654	გამოსწორდა შეცდომები საავანსო დოკუმენტში, როდესაც ტიპი = მხოლოდ გადასახადები: სისტემა არ იძლეოდა საავანსო დოკუმენტის დაპოსტვის უფლებას, როდესაც შესაბამის შესყიდვის დოკუმენტში შევსებული იყო ხელშეკრულება. ახლა სისტემა არ ითვალისწინებს შესყიდვის დოკუმენტში შევსებულ ხელშეკრულებას, არც დაპოსტვის ეტაპზე და არც ბუღალტრულ ჩანაწერებში. სისტემა ბუღალტრულ ჩანაწერებში ახლა იღებს გადასახდელ ანგარიშს საშემოსავლო გადასახადის მომწოდებლის პოსტინგ ჯგუფიდან, ავანსის ანგარიშის ნაცვლად.	SMART WHT for Georgia	შეცდომის გამოსწორება

7. სისტემის განახლების პროცედურა

სისტემის განახლება ორი ეტაპისგან შედგება:

- კოდის განახლება
- მონაცემთა განახლება

კოდის განახლება ეხება ობიექტების ცვლილებების მიგრაციას გამოშვებიდან მომხმარებელთა ბაზამდე, რომელიც შესრულებულია ორი ვერსიის ტექსტური შერწყმის გზით.

მონაცემთა განახლება გულისხმობს არსებული მონაცემების შეცვლას იმ შემთხვევაში, როდესაც ახალი გამოშვება ცვლის მონაცემთა სქემას, ან ახალი პარამეტრების შემთხვევაში. არსებული მონაცემები ავტომატურად იცვლება კოდის განახლების დროს მონაცემთა განახლების პროცედურის დაწყების მომენტში. ახალი მოდულების დაყენება ხორციელდება ხელით.

8. SMART Localization-ის განახლების წესები და პირობები

1. SMART business (შემდგომში „კომპანია“) შეიმუშავებს და განაახლებს SMART Localization-ის გადაწყვეტილებას (შემდგომში „გადაწყვეტილება“) Microsoft Dynamics Partner Localization and Translation Licensing Program (PLLP) განსაზღვრული მოთხოვნებისა და შეზღუდვების შესაბამისად (PLLP).
2. ყოველი კვარტლის პირველ სამუშაო დღეს კომპანია აქვეყნებს გადაწყვეტილების განახლებებს. შემდგომში კომპანია იტოვებს უფლებას შეცვალოს განახლებების გამოშვების სიხშირე.
3. გადაწყვეტილების განახლებები უფასოდ მიეწოდება კომპანიის კლიენტებს, რომლებსაც გააქტიურებული აქვთ გამოწერა ყველა Microsoft Dynamics NAV და Microsoft Dynamics 365 Business Central პროდუქტის ვერსიებისთვის, რომლებიც Microsoft-ის ძირითადი მხარდაჭერის პერიოდის ეტაპზეა. პროგრამული პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის სანახავად, გადადით ბმულზე https://support.microsoft.com/en-us/lifecycle/search.
4. მომხმარებელთა სისტემა განახლებულია გრაფიკის წინასწარი კოორდინირებით, ასევე მომხმარებლის სისტემებზე განახლებების მიგრაციის სამუშაოების მოცულობით, მათ შორის პარამეტრების განახლებასა და სისტემის ტესტირებაზე და უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს შემდეგი განახლების გამოშვებისა. განახლების გამოშვების სავარაუდო გრაფიკი არის 3 თვეში ერთხელ. განახლება შეიძლება გადაიდოს 3 თვით წინასწარ ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში.
5. ასევე გათვალისწინებულია მომხმარებლის მიერ სისტემის დამოუკიდებლად განახლების შესაძლებლობა. ამ მიზნით, კომპანიამ უნდა უზრუნველყოს განახლებები, მათ შორის რეკომენდაციები პარამეტრებისა და სკრიპტების განახლების შესახებ მონაცემების განახლებისთვის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სისტემის მომხმარებლის მოდიფიკაციები შეიძლება შეუთავსებელი იყოს მიღებული განახლების საწყის კოდთან და, შედეგად, სისტემის განახლება ან შესრულებული ცვლილებები უნდა დარეგულირდეს.
6. კომპანიამ უსასყიდლოდ უნდა გამოასწოროს აქტიური გამომწერების და რეგულარულ განახლებებში c.4.-ის შესაბამისად ჩართული მომხმარებლების გადაწყვეტილების შეცდომები.
7. კომპანიამ უნდა წარმოადგინოს ყოველი განახლების ცვლილებების დეტალური აღწერა და გამოაქვეყნოს იგი არაუგვიანეს განახლების გამოშვების თარიღისა.
8. კანონმდებლობის დაუგეგმავი განახლებები ან შეცდომის დაუგეგმავი გასწორება მომხმარებელს მიეწოდება განახლებების გამოშვების სიხშირის მიუხედავად.
9. გადაწყვეტილების სრული განახლება ან მისი ცალკეული ფუნქციური შესაძლებლობების განახლება სისტემის იმგვარი „მოძველებული“ ვერსიისათვის, რომელიც არ შედის Microsoft-ის მხარდაჭერის საბაზო პერიოდში პ.პ.3-ის შესაბამისად, ანდა აქტიური ხელმოწერის არმქონე კლიენტებისთვის, კომპანიის მიერ ხორციელდება იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი განახლება იქმნება

სპეციალურად ამგვარი კლიენტისთვის და, შესაბამისად, შეიძლება კლიენტს გადაეცეს სათანადო ანაზღაურების საფუძველზე.

10. წინამდებარე პირობებიდან ნებისმიერი გადახვევა დოკუმენტირებული უნდა იყოს ხელშეკრულების ფორმით; წინააღმდეგ შემთხვევაში, მოქმედებს ეს წესები და პირობები.